



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 28

10 აგვისტო 2021 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტში გაზრდილი საავტომობილო საშუალებების რაოდენობის გამო, მოსახლეობის უსაფრთხოების თვალსაზრისით, არსებობს აუცილებლობა ქალაქ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის რიგ ქუჩებზე განხორციელდეს სიჩქარის იძულებით შემცირება, რა მიზეზითაც გზის სავალ ნაწილზე მოწყობილ უნდა იქნეს ხელოვნური უსწორმასწორობა და დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები, ასევე მენჯი-სახარბედიოს გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდგომ, რომელიც იძლევა სხვადასხვა საგზაო -სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების განტვირთვის საშუალებას, შესაბამისად საჭიროა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის აღნიშნული გზის მონაკვეთზე განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დამონტაჟდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

- ა) „სახიფათო მოსახვევები“ 1.13.1 - 1 ცალი;
- ბ) „სახიფათო მოსახვევები“ 1.13.2 - 1 ცალი;
- გ) „მოქმედების ზონა“ (1500 მეტრი) 8.2.1- 2 ცალი;
- დ) „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (50 კმ.სთ) 3.24 - 2 ცალი;
- ე) „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვის დასასრული“ 3.25 - 2 ცალი;
- ვ) ღერძულა ხაზის მონიშვნა - „ღერძულა ხაზი“ 1.1 - 1250 მ;
- ზ) „დაუთმე გზა“ 2.3 (მენჯი - სახარბედიოს გზის მონაკვეთის დასაწყისში მარცხენა მხარეს) - 1 ცალი;
- თ) „დაუთმე გზა“ 2.3 (მენჯი - სახარბედიოს გზის მონაკვეთის ბოლოში მარჯვენა მხარეს) - 1 ცალი.

2. ქალაქ სენაკში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დამონტაჟდეს საგზაო ნიშნები ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ გზებზე:

- ა) „დაუთმე გზა“ 2.3 (ზვიად გამსახურდიას და თეფანიას ქუჩების კვეთასთან) - 2 ცალი
- ბ) „დაუთმე გზა“ 2.3 (ც. დადიანის და ქურდოვანიძის ქუჩების კვეთასთან) - 2 ცალი;
- გ) „დაუთმე გზა“ 2.3 (ზვიად გამსახურდიას და ცაგარელის ქუჩების კვეთასთან) - 2 ცალი;
- დ) „დაუთმე გზა“ 2.3 (ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, ზვიად გამსახურდიას და ჩხეტას ქუჩების კვეთასთან) -1 ცალი;
- ე) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ 5.20 (გამსახურდიას ქუჩაზე, სკოლა „მარიოტასა“ და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიასთან) - 4 ცალი;

ვ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ (გამსახურდიას ქუჩაზე, სკოლა „მარიოტასა“ და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიასთან) - 1.18 - 2 ცალი;

ზ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ (გამსახურდიას ქუჩაზე, სკოლა „მარიოტასა“ და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიასთან) 20 გრძ. მ. 2 ადგილზე (10-10 მეტრი);

თ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ 5.20 მ. (კოსტავას ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე) - 4 ცალი;

ი) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ - 1.18 მ. (კოსტავას ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე) - 2 ცალი;

კ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ (მ. კოსტავას ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე) 20 გრძ. მ. 2 ადგილზე (10-10 მეტრი);

ლ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ 5.20 (შ. რუსთაველის ქუჩაზე, მესამე საჯარო სკოლასთან) - 2 ცალი;

მ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ - 1.18 (შ. რუსთაველის ქუჩაზე, მესამე საჯარო სკოლასთან) - 2 ცალი;

ნ) „ხელოვნური უსწორმასწორობა“ – 1.18 (შ. რუსთაველის ქუჩაზე, მესამე საჯარო სკოლასთან) 10-10 გრძ. მ. 2 ადგილზე;

ო) „დგომა აკრძალულია“ 3.28 (შ. რუსთაველის ქუჩაზე, შ. რუსთაველისა და ვაჰანიას ქუჩების კვეთაზე მარჯვენა მხარეს) - 1 ცალი;

პ) „აბრა“ წარწერით „გარდა სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებებისა“ (შ. რუსთაველის ქუჩაზე, შ. რუსთაველისა და ვაჰანიას ქუჩების კვეთაზე მარჯვენა მხარეს) - 1 ცალი;

ჟ) „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ - 3.24 (ხორავას ქუჩაზე, შ. რუსთაველისა და ქიაჩელის ქუჩებს შორის მონაკვეთზე) - 2 ცალი;

რ) „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვის დასასრული“ - 3.25 (ხორავას ქუჩაზე, შ. რუსთაველისა და ქიაჩელის ქუჩებს შორის მონაკვეთზე) - 1 ცალი.

3.გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი